საინფორმაციო ფურცელი 2026

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

ივლისი - სექტემბერი

სარჩევი

- სტრატეგიული მიმართულებები და ახალი ინიციატივები
- ბაზრის ზედამხედველობა
- მომხმარებელთა უფლებების დაცვა - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და აღსრულება
- განათლება და ცნობიერების ამაღლება
- საერთაშორისო თანამშრომლობა
- მომდევნო საერთაშორისო ღონისძიება

1. სტრატეგიული მიმართულებები და ახალი ინიციატივები

საქართველო ICPEN-ის პრეზიდენტი ქვეყანაა - თბილისში მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
2026 - 2027 წლებში
მომხმარებლის დაცვის და აღსრულების საერთაშორისო ქსელს
(ICPEN) უხელმძღვანელებს
ICPEN
International Consumer Protection and Enforcement Network

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (GCCA) 2026-2027 წლებში მომხმარებელთა დაცვისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელის (ICPEN) პრეზიდენტი უწყებაა. პრეზიდენტობის ფარგლებში, სააგენტოს ორგანიზებით, **15-17 სექტემბერს** თბილისში გაიმართა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც მომხმარებელთა დაცვის სფეროს დაახლოებით **100 წარმომადგენელს 55 ქვეყნიდან** მოუყარა თავი.

„ნდობის შენება ციფრულ ეპოქაში" - კონფერენციის მთავარი თემები

ICPEN CONFERENCE
AND HIGH LEVEL MEETING
14-18 September, 2026
GEORGIA
ICPEN PRESIDENCY
BUILDING TRUST IN THE DIGITAL AGE
2026 | 2027
ICPEN
Georgian Competition and Consumer Agency

კონფერენციის მთავარი გზავნილი იყო „ნდობის შენება ციფრულ ეპოქაში" (Building Trust in the Digital Age). მონაწილეებმა განიხილეს მომხმარებელთა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, ციფრულ ბაზრებზე არსებული რისკები, ხელოვნური ინტელექტისა და ახალი ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებელთა უფლებებზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა საზიანო ონლაინ კომერციული პრაქტიკისგან, ე.წ. „ბნელი პატერნები" (dark patterns), ინფლუენსერ-მარკეტინგი და ციფრული გამჭვირვალობის საკითხები.

კონფერენციის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე, მომხმარებელთა დაცვის უწყებების ინსტიტუციურ განვითარებასა და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვაზე.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1995

„ნდობის შენება ციფრულ ეპოქაში" - კონფერენციის მთავარი თემები



თბილისში გამართული ICPEN-ის კონფერენციის ფარგლებში GCCA-მ თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა ესპანეთის, პორტუგალიის, თურქეთის, სამხრეთ აფრიკისა და ლატვიის შესაბამის უწყებებთან.

შეთანხმებები მიზნად ისახავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, ინფორმაციის გაცვლასა და მომხმარებელთა საჭიროებებსა და პრობლემებზე კოორდინირებული რეაგირების შესაძლებლობების განვითარებას.

შეხვედრებისას მხარეებმა ასევე განიხილეს მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება, არსებული გამოწვევები, მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება და აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1998

საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ბულგარეთი - რეგიონული თანამშრომლობა

კონფერენციის დასკვნით დღეს გაიმართა რეგიონული დისკუსია, რომელშიც საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ბულგარეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე განიხილეს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მომხმარებელთა დაცვის სფეროში არსებული გამოწვევები და თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1998

2026 წლის მომხმარებელთა დაცვის დაჯილდოვების ცერემონია

მსოფლიო ბანკის ჯგუფმა და ICPEN-მა მომხმარებელთა დაცვის სფეროში განხორციელებული გამორჩეული, ინოვაციური და ეფექტიანი ინიციატივები გამოავლინეს და დააჯილდოვეს. დაჯილდოვება, საერთაშორისო მასშტაბით, მომხმარებელთა დაცვის სფეროში მიღწეული შედეგების აღიარებისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო. ცერემონიას მსოფლიო ბანკის ჯგუფის წარმომადგენელი ელენა გასოლ რამოსი და საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე უძღვებოდნენ.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1998

“თბილისში გამართულმა კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ციფრულ ეპოქაში მომხმარებელთა ეფექტიანი დაცვა საერთაშორისო თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას მოითხოვს. ბოლო სამი დღის განმავლობაში ჩვენ არა მხოლოდ საერთო გამოწვევებზე ვიმსჯელეთ, არამედ ერთმანეთს გავუზიარეთ პრაქტიკული ინსტრუმენტები და ინოვაციური მიდგომები, რომლებიც მომხმარებელთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას ემსახურება. საქართველოსთვის, როგორც ICPEN-ის პრეზიდენტი უწყებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ვიყოთ არა მხოლოდ მასპინძლები, არამედ აქტიური მონაწილეები და პარტნიორები. მადლობას ვუხდი ყველა დელეგატს, საერთაშორისო ორგანიზაციასა და პარტნიორ უწყებას თბილისში ჩამოსვლისა და ამ მნიშვნელოვანი დიალოგის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის. ჩვენი საერთო მიზანია – ციფრულ ეპოქაში მომხმარებელთა დაცვის უფრო ეფექტიანი და ნდობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნა.”

– GCCA-ს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე

eKalata

Ekalata.gov.ge უკვე ხელმისაწვდომია Android-ისა და iOS-ის მობილურ აპლიკაციებში



საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილი ფასების შედარების პორტალი www.ekalata.gov.ge უკვე მობილური აპლიკაციების სახითაც არის ხელმისაწვდომი Android-ისა და iOS-ის მოწყობილობებისთვის. აპლიკაცია მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მობილური მოწყობილობებიდან შეადარონ ფასები და მიიღონ ინფორმაცია სასურველი პროდუქტების შესახებ.

პორტალზე წარმოდგენილია 13 საბაზისო სასურსათო და 10 პირველადი მოხმარების არასასურსათო პროდუქტი. მომხმარებლებს შეუძლიათ სხვადასხვა სავაჭრო ქსელში ფასების შედარება, ინდივიდუალური კალათის შექმნა და პოტენციური დანაზოგის გამოთვლა. პლატფორმაზე 16 სავაჭრო ქსელის ფასებია წარმოდგენილი, ხოლო გეოლოკაციის ფუნქცია უახლოესი ფილიალის მოძიებას ამარტივებს.

პორტალი 2026 წლის ივნისის ბოლოს ამოქმედდა პრემიერ-მინისტრის ინიციატივისა და საქართველოს პარლამენტის სასურსათო პროდუქციის ფასწარმოქმნის სტრუქტურის შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე. მისი მიზანია საბაზისო პროდუქტებზე ფასებისა და შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის ერთ სივრცეში მიწოდება და მომხმარებლებისთვის ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=2018



ekalata.gov.ge - ფასების შედარების მეტი შესაძლებლობა

მთავრობის ინიციატივით შექმნილ ფასების შედარების პორტალს ახალი სავაჭრო ქსელები დაემატა, ასევე ხელმისაწვდომი გახდა მაღაზიების გეოლოკაციის ფუნქციონალიც, რომელიც მომხმარებელს უახლოესი ფილიალის მოძებნაში ეხმარება.

პორტალზე წარმოდგენილია 13 საბაზისო სასურსათო და 10 პირველადი მოხმარების არასასურსათო პროდუქტი. მომხმარებელს შეუძლია სხვადასხვა ქსელში ფასების შედარება, პირადი კალათის შექმნა და შესაძლო დანაზოგის გამოთვლა.

EKALATA.GOV.GE - ფასების დინამიკა ივლისი-სექტემბერი

ივლისი - სასურსათო კალათა

ივლისში 13 საბაზისო სასურსათო პროდუქტისგან შემდგარი ყველაზე იაფი კალათის მინიმალური ღირებულება 23 ივლისს დაფიქსირდა.

- მინიმალური ღირებულება: 35.96 ლარი
- თვის ბოლოს: 37.41 ლარი

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1974





აგვისტო - სასურსათო და არასასურსათო კალათები

აგვისტოში 13 საბაზისო სასურსათო პროდუქტისგან შემდგარი ყველაზე იაფი კალათის ღირებულება 37.41 ლარი იყო, ხოლო 10 პირველადი მოხმარების არასასურსათო პროდუქტისგან შემდგარი კალათის - 25.23 ლარი.

- სასურსათო კალათა: 37.41 ლარი
- არასასურსათო კალათა: 25.23 ლარი

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1988

სექტემბერი - სასურსათო და არასასურსათო კალათების დინამიკა

სექტემბერში სასურსათო კალათის ღირებულება თვის დასაწყისთან შედარებით შემცირდა. არასასურსათო კალათის მინიმალური ღირებულება კი 10 სექტემბერს დაფიქსირდა.

- სასურსათო კალათა: 37.45 ლარი თვის დასაწყისში → 35.82 ლარი თვის ბოლოს (-4.4%)
- არასასურსათო კალათა: მინიმუმი - 25.57 ლარი (10 სექტემბერი); თვის ბოლოს -26.17 ლარი (თვის დასაწყისთან შედარებით -5.3%)

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=2014



2. ბაზრის ზედამხედველობა

GCCA-მ დაიწყო მოკვლევა მზა საკვების ონლაინ მიწოდების ბაზარზე

2026 წლის 29 სექტემბერს GCCA-მ დაიწყო მოკვლევა მზა საკვების ონლაინ პლატფორმების მეშვეობით მიწოდების ბაზარზე „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

საქმე ეხება Delivery Technology Georgia LLC-ის საჩივარს, რომლის მიხედვითაც, Wolt-სა და Glovo-ს შესაძლოა გარკვეულ რესტორნებთან ისეთი შეთანხმებები ჰქონდეთ, რომლებიც მათ სხვა პლატფორმებთან თანამშრომლობას უზღუდავს. საჩივრის ავტორის შეფასებით, მსგავსი პირობები შესაძლოა ახალი პლატფორმების ბაზარზე შესვლას აფერხებდეს და კონკურენციაზე უარყოფითად მოქმედებდეს.

სააგენტო შეისწავლის საქმეს და შეაფასებს, იკვეთება თუ არა კანონის მე-6 მუხლის დარღვევა. საჩივარში წარმოდგენილი გარემოებები მოკვლევის საგანია და საბოლოო შეფასება სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის შედეგად გაკეთდება.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=2011

GCCA-მ დაამტკიცა Bain Capital Investors-ის მიერ Everllence SE-ში წილების შეძენა

GCCA-მ დაამტკიცა Bain Capital Investors-ის მიერ გერმანულ საინჟინრო კომპანია Everllence SE-ში წილების არაპირდაპირი შეძენა.

სააგენტოს შეფასებით, გარიგება კონგლომერატულ კონცენტრაციას წარმოადგენდა, მხარეებს შორის ჰორიზონტალური გადაფარვა არ არსებობდა და კონცენტრაცია კონკურენციის შეზღუდვის საფრთხეს არ ქმნიდა.

უცხოური კონცენტრაციაც ექვემდებარება GCCA-ს წინასწარ შეტყობინებას, თუ ის საქართველოს ბაზარზე გავლენას ახდენს და კანონით დადგენილი ბრუნვის კრიტერიუმები სრულდება. 2026 წლის სექტემბრის მდგომარეობით, სააგენტოს წლის განმავლობაში 12 კონცენტრაცია ჰქონდა დამტკიცებული.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=2009

GCCA-მ პარლამენტს 2025 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა

GCCA-ის თავმჯდომარემ ირაკლი ლექვინაძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე სააგენტოს 2025 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

ანგარიში მოიცავდა კონკურენციის მიმართულებით დასრულებულ მოკვლევებს, სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგს, კონცენტრაციების კონტროლს, ანტიდემპინგურ საკითხებსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შედეგებს.

2025 წელს მომხმარებელთა მიმართვიანობა 65%-ით გაიზარდა, ხოლო მოქალაქეებს უფლებების აღდგენის შედეგად ჯამურად დაახლოებით 1 მილიონი ლარი დაუბრუნდათ. ანგარიშში მიმოხილული იყო ფარმაცევტული ბაზრისა და რუსთავის ავტობაზრობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებიც.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1992

GCCA-მ Citycom LLC-ის საჩივარი დაუშვებლად ცნო

GCCA-მ შპს „სიტიკომის" საჩივარი შპს „ოლსერვისგრუპის" წინააღმდეგ დაუშვებლად ცნო. საჩივარი შესაძლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციას ეხებოდა.

სააგენტოს მიერ საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე შესწავლის შედეგად, დარღვევის გონივრული ეჭვი არ გამოიკვეთა, რის გამოც მოკვლევის დაწყების საფუძველი არ არსებობდა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1978

კონცენტრაციების მონიტორინგი

2026 წლის III კვარტალში საქართველოში

2 652
ტრანზაქცია
დარეგისტრირდა

0,4%
11
კონცენტრაციად შეფასდა
და შესაბამის შემოსავლებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა

7
შემთხვევა
კანონით გათვალისწინებულ გამონაკლისებში მოხვდა

4
შემთხვევაში
შესაძლო დარღვევის გამო GCCA-მ საქმის წარმოება დაიწყო.

3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და აღსრულება

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტატისტიკა - განაცხადების რაოდენობა 110%-ით გაიზარდა



მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით მიღებული შედეგები

იანვარი - აგვისტო 2026

1758 შემოსული განცხადებების რაოდენობა
5367 შემოსული ზარების რაოდენობა

მიღებული გადაწყვეტილება

227 დარღვევის დადასტურება (516 საქმეზე)
134 პირობითი ვალდებულება (151საქმეზე)
114 ჯარიმა დაკისრება (268 საქმეზე)
დაკისრებული ჯარიმის ოდენობა 289,663

2025 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემოსული განცხადებების რაოდენობა გაზრდილია 110% ით

ონლაინ ვაჭრობა 69%
ადგილზე შეძენა 31%

სექტორი

67% საბითუმო და საცალო ვაჭრობა
11% ტრანსპორტი და დასაწყობება
3% ხელოვნება, გართობა და დასვენება
19% სხვა სახის საქმიანობა

66%
34%

განმცხადებლის მოთხოვნა

707 თანხის დაბრუნება
393 ნაკლოვანი ნივთის შეცვლა ან შეკეთება
431 ნაკლოვანი მომსახურების უფლების აღდგენა
227 სხვა მოთხოვნა

consumer@gcca.gov.ge
15 20

2026 წლის იანვარ–აგვისტოში GCCA-ში მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებით 1,758 განაცხადი შევიდა, ხოლო სააგენტომ 5,367 სატელეფონო ზარი მიიღო. განაცხადების რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 110%-ით გაიზარდა.

სააგენტომ 516 საქმეზე მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების დარღვევის 227 შემთხვევა დაადასტურა. კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 268 საქმეზე 114 მოვაჭრე დაჯარიმდა, ჯამში 289,663 ლარით. ამასთან, 151 საქმეზე გაფორმდა 134 პირობითი ვალდებულება, რაც მოვაჭრეების შიდა პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანასა და მომხმარებელთა უფლებების აღდგენას ითვალისწინებდა.

განაცხადების 69% ონლაინ ვაჭრობას, ხოლო 31% ადგილზე შეძენას უკავშირდებოდა. მომხმარებლები ყველაზე ხშირად თანხის დაბრუნებას, წუნდებული საქონლის შეკეთებას ან შეცვლას და უხარისხო მომსახურების შედეგად დარღვეული უფლებების აღდგენას ითხოვდნენ. მიმართვების 67% საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორზე მოდიოდა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1987

ციფრული პლატფორმების პასუხისმგებლობა მომხმარებელთა წინაშე

Foodly LLC – Bolt Food-ის პლატფორმა

GCCA-მ დაადგინა, რომ საქართველოში Bolt Food-ის პლატფორმის საქმიანობასთან დაკავშირებულ მომხმარებელთა უფლებრივ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა შპს „ფუდლის" ეკისრებოდა.

სააგენტოს შეფასებით, მომხმარებლისთვის მოვაჭრის ვინაობის, საკონტაქტო ინფორმაციის, კანონით გათვალისწინებული გარანტიისა და დისტანციური ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. კომპანიას დაევალა დარღვევების გამოსწორება, კანონის მოთხოვნების შესრულება და მომხმარებელთა უფლებების აღდგენა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1975

Smartly LLC – Bolt-ის ტაქსის პლატფორმა

GCCA-მ შპს „სმარტლი", რომელიც საქართველოში Bolt-ის ტაქსის პლატფორმას ოპერირებს, სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის 59,871 ლარით დააჯარიმა.

თავდაპირველი გადაწყვეტილება ეხებოდა პლატფორმაზე მოვაჭრის შესახებ სავალდებულო ინფორმაციის ნაკლებობასა და სტანდარტულ სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც პასუხისმგებლობას მძღოლზე გადაანაწილებდა. კომპანიას დაევალა დარღვევების აღმოფხვრა და მომხმარებელთა უფლებების აღდგენა, თუმცა დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ შეასრულა.

ჯარიმა კომპანიას სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან არ ათავისუფლებს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1976

თანხის დაბრუნება, მომსახურების ხარისხი და ხელშეკრულების პირობები

Food Gallery Georgia LLC

GCCA-მ შპს „ფუდ გალერი ჯორჯიას" მომხმარებელთა უფლებების დარღვევა დაუდგინა მომსახურების გაუქმების შემდეგ თანხის დაგვიანებით დაბრუნებისა და მიწოდებული მომსახურების შეთავაზებულ პირობებთან არსებითი შეუსაბამობის გამო. კომპანიას დაევალა მომხმარებელთა უფლებების აღდგენა და სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1979

Travelify LLC

საქმე ეხებოდა სამოგზაურო პაკეტს, რომლის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტი იტალიის ქალაქ ბოლონიაში Kanye West-ის კონცერტზე დასწრება იყო. კონცერტის გაუქმების შემდეგ პაკეტმა თავდაპირველი მიზანი დაკარგა, თუმცა მომხმარებლებს ხელშეკრულების გაუქმებისა და თანხის სრულად დაბრუნების მოთხოვნაზე უარი ეთქვათ.

GCCA-მ მიიჩნია, რომ კონცერტზე დასწრება პაკეტის არსებითი მიზანი იყო და მისი გაუქმების შემდეგ მომხმარებლებს ხელშეკრულებიდან გასვლისა და სრული თანხის დაბრუნების უფლება ჰქონდათ. კომპანიას დაევალა მომხმარებელთა უფლებების აღდგენა და სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1982

Electrify Georgia LLC

GCCA-მ შპს „ელექტრიფაი ჯორჯიას" მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევა დაადგინა ელექტრომობილის დამტენ სადგურზე წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზის გამო. სისტემამ ენერგიის მიწოდება გააგრძელა მას შემდეგაც, რაც ავტომობილის მოთხოვნა ნულს გაუტოლდა, რის შედეგადაც ავტომობილი დაზიანდა.

კომპანიამ ზიანის ანაზღაურებაზე უარი შიდა წესებით ახსნა. სააგენტოს შეფასებით, მომსახურების მიმწოდებელმა ვერ გააქარწყლა მომსახურების არასათანადოდ გაწევის პრეზუმფცია, ხოლო ხელშეკრულების პირობები მომხმარებელს შეცდომაში შეიყვანდა პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ.

კომპანიას დაევალა დაზიანებული ნაწილების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, ზიანის ანაზღაურება და უსამართლო კომერციული პრაქტიკის შეწყვეტა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1983

GORGIA - კანონისმიერი გარანტიის შესახებ მომხმარებლის ინფორმირება

GCCA-მ დაადგინა, რომ „გორგიას" მიერ მომხმარებლებთან ინდივიდუალურ კომუნიკაციასა და საგარანტიო ბარათებში ერთწლიანი გარანტიის მითითება, კანონით გათვალისწინებული ორწლიანი გარანტიის ნაცვლად, მომხმარებლებს შეცდომაში შეიყვანდა. ცალკეულ შემთხვევებში გარანტია მხოლოდ კონკრეტულ ნაწილზე ვრცელდებოდა, ხოლო წუნდებული საქონლის შეცვლა 14 კალენდარული დღით იზღუდებოდა.

სააგენტომ კომპანიას დაავალა მომხმარებლებისთვის კანონისმიერი გარანტიის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება და შეცდომაში შემყვანი კომერციული პრაქტიკის შეწყვეტა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1984

სააგენტოს გადაწყვეტილებების აღსრულება და მომხმარებელთა უფლებების აღდგენა

Isurve LLC - 182 მომხმარებლის უფლებები სრულად აღდგა

GCCA-ის მიერ დაკისრებული ფინანსური სანქციის შემდეგ შპს „ისურვემ“ 182 მომხმარებლის უფლებები სრულად აღადგინა. კომპანიას მომხმარებლებისთვის თანხების დაბრუნება და შეძენილი ამანათების მიწოდება ევალებოდა.

სააგენტომ კომპანიას გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებები შეახსენა, მომხმარებლებს ინდივიდუალურად დაუკავშირდა და გადაამოწმა, შესრულდა თუ არა მათ წინაშე არსებული ვალდებულებები.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1981

„ხეირი ნახე“ – 1,374 ლარის ჯარიმა

GCCA-მ ინდივიდუალური მეწარმე ნიკოლოზ ჩახაი („ხეირი ნახე“) სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის 1,374 ლარით დააჯარიმა. საქმე ეხებოდა საქონლის განმეორებით დაგვიანებულ მიწოდებასა და შეკვეთის გაუქმების შემდეგ თანხის დაბრუნების გაჭიანურებას.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1977

„თამოსკინი“ – 600 ლარის ჯარიმა

GCCA-მ შპს „თამოსკინი“ სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის 600 ლარით დააჯარიმა. კომპანიას სავაჭრო პოლიტიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა და მომხმარებელთა უფლებების აღდგენა ევალებოდა, თუმცა დადგენილ ვადაში ეს ვალდებულებები არ შეასრულა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1986

4. განათლება და ცნობიერების ამაღლება

GCCA-ის შეხვედრა ახალგაზრდებთან რუსთავში

GCCA-ის თავმჯდომარის, ირაკლი ლეკვინაძის, მონაწილეობით რუსთავის ახალგაზრდული ცენტრის ციფრული განვითარების სივრცეში დაახლოებით 50 ახალგაზრდასთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ჯანსაღი კონკურენციის მნიშვნელობაზე, ფასებსა და ხარისხზე მის გავლენაზე და კონკურენციის შეზღუდვის გამოვლენის მექანიზმებზე. მომხმარებელთა უფლებების ნაწილში განხილული იყო ონლაინ შეძენილი საქონლის 14-დღიანი უპირობო დაბრუნების უფლება და ორწლიანი კანონისმიერი გარანტია. ახალგაზრდებს ასევე გააცნეს ფასების შედარების პორტალი ekalata.gov.ge და სააგენტოს საგანმანათლებლო რესურსები.

ღონისძიება ახალგაზრდობის სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა. GCCA მსგავსი შეხვედრების სხვა მუნიციპალიტეტებშიც ჩატარებას გეგმავს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=2008

საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები 25 საჯარო სკოლაში

GCCA განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში წლის ბოლომდე 25 საჯარო სკოლაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარებას გეგმავს.

შეხვედრები თბილისში და კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში გაიმართება. მოსწავლეები გაეცნობიან მომხმარებელთა უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებს, კონკურენციის პოლიტიკას, სააგენტოს საქმიანობასა და პრაქტიკულ მაგალითებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სხვა ჯგუფებს, რათა მათ საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარი წვდომა ჰქონდეთ.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=2010

ფინანსური განათლება სკოლებში

GCCA-ის თავმჯდომარე მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის კონფერენციაში „ფინანსური განათლება სკოლებში: იდეიდან საკლასო ოთახამდე“. პანელურ დისკუსიაზე მან ფინანსური განათლების მნიშვნელობაზე, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი ფინანსური ინტერესების დაცვაზე ისაუბრა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ციფრული რესურსების გამოყენებასა და GCCA-ის ონლაინ კონკურენციის ლექსიკონის როლზე, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეკონომიკური, ფინანსური და სამართლებრივი საკითხების უკეთ გააზრებაში ეხმარება.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1993

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა სტაჟირება დაასრულეს


ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA-სა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ექვსმა სტუდენტმა დისტანციური სტაჟირების პროგრამა დაასრულა.

სააგენტოს ტრენინგებისა და კვლევების ცენტრის მიერ შემუშავებული ერთთვიანი პროგრამა მოიცავდა თეორიულ მოდულებს, მენტორობასა და პრაქტიკულ დავალებებს. პროგრამის მიზანი სტუდენტებისთვის სააგენტოს საქმიანობის გაცნობა და პროფესიული გამოცდილების მიღების ხელშეწყობა იყო. GCCA რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მსგავსი შესაძლებლობების შეთავაზებას მომავალშიც გეგმავს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1989

5. საერთაშორისო თანამშრომლობა

GCCA-ის თავმჯდომარემ ICPEN-ის პრიორიტეტები UNCTAD-ის მაღალი დონის შეხვედრაზე წარადგინა

GCCA-ის თავმჯდომარე ირაკლი ლეკვინაძე ჟენევაში, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მაღალი დონის შეხვედრაში მონაწილეობდა. როგორც ICPEN-ის პრეზიდენტი უწყების ხელმძღვანელმა, მან საერთაშორისო პარტნიორებს ქსელის პრეზიდენტობის პერიოდში დაგეგმილი პრიორიტეტები და პროექტები გააცნო.

პრიორიტეტებს შორისაა მომხმარებელთა დაცვის განვითარებადი უწყებების მხარდაჭერა, ციფრულ ბაზრებსა და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხო მექანიზმების გაძლიერება და მოწყვლადი მომხმარებლების უფლებების დაცვა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1961

GCCA-ის თავმჯდომარე კონკურენციის ეროვნულ კონფერენციაში მონაწილეობდა ჩინეთში

rakli Lekvinadze
中国 · 西安
AN . CHINA
NFCCC
2026
全国公平竞争大会

GCCA-ის თავმჯდომარე ირაკლი ლეკვინაძე ჩინეთის ქალაქ სიანში გამართულ National Fair Competition Conference-ში მონაწილეობდა, რომელიც ჩინეთის ბაზრის რეგულირების სახელმწიფო ადმინისტრაციის (SAMR) ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციაზე მან საქართველოს გამოცდილება კონკურენციის პოლიტიკისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით წარადგინა. განხილული იყო კონკურენციის ეფექტიანი აღსრულების მნიშვნელობა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის, სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგი, მონოპოლიზაციის რისკების შემცირება და კონკურენციის, ინვესტიციებისა და ინდუსტრიული პოლიტიკის დაბალანსება.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1990

GCCA-ის წარმომადგენლები OECD-GVH RCC-ის სემინარს დაესწრნენ

GCCA-ის იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელმა ლანა გელაშვილმა და სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელმა გიორგი მოდებაძემ ესპანეთის ქალაქ მალაგაში მონაწილეობა მიიღეს OECD-GVH RCC-ის სემინარში „კონკურენციის აღსრულებისა და ადვოკატირების ძირითადი კონცეფციები“.

სემინარი კონკურენციის საკითხებზე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და აღსრულების შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურებოდა. მონაწილეებმა განიხილეს შემზღუდველი შეთანხმებები, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონცენტრაციების კონტროლი და კონკურენციის ადვოკატირება.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=2001

6. მომდევნო საერთაშორისო ღონისძიება

თბილისში კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება


National Bank of Georgia
INSURANCE STATE SUPERVISION SERVICE OF GEORGIA
Georgian Competition and Consumer Agency
GEORGIAN NATIONAL ENERGY AND WATER SUPPLY REGULATORY COMISSION
GNERC
Communications Commission
COMPETITION AND CONSUMER PROTECTION
5th International Conference
NOVEMBER 19-20 | 2026
TBILISI, GEORGIA

2026 წლის 19-20 ნოემბერს თბილისში კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება. ღონისძიებას GCCA საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი), დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად ორგანიზებას უწევს.

კონფერენცია გააერთიანებს 20-მდე ქვეყნის წარმომადგენლებს, კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სფეროს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებს, სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

პროგრამა მოიცავს მომხმარებელთა დაცვის გლობალურ ცვლილებებსა და მარეგულირებელ მიდგომებს, მოწყვლად ბაზრებზე კონკურენციასა და ხელმისაწვდომობას, კონცენტრაციების კონტროლს, ონლაინ მომხმარებელთა დაცვას, კონკურენციის სამართლისა და სექტორული რეგულირების ურთიერთკავშირს, ასევე კონკურენციის, ვაჭრობისა და ინდუსტრიული პოლიტიკის დაბალანსებას.

კონფერენციის საპატიო მომხსენებელი იქნება ტერეზა მორეირა, საერთაშორისო კონკურენციის ექსპერტი და UNCTAD-ის კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულების ყოფილი ხელმძღვანელი.

ღონისძიება საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის 30 წლის იუბილეს ეძღვნება. 2025 წლის კონფერენციაში 18 ქვეყნის 350-ზე მეტი დელეგატი და 50-ზე მეტი მომხსენებელი მონაწილეობდა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=2012

7. კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი უწყებების აქტივობების საერთაშორისო მიმოხილვა

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია - 900 მილიონ ზლოტზე მეტი ჯარიმა ფარმაცევტულ საბითუმო მოვაჭრეებს

https://uokik.gov.pl/en/less-competition-but-more-to-pay-for-medicines-at-the-pharmacy-more-than-pln-900-million-in-fines-for-pharmaceutical-wholesalers

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია - ავსტრალიის ორმა უმსხვილესმა ავიაკომპანიათა ჯგუფმა მაღალი ფინანსური შედეგი აჩვენა საწვავის მნიშვნელოვნად გაზრდილი ფასების მიუხედავად

https://www.accc.gov.au/media-release/the-qantas-group-and-virgin-australia-report-substantial-earnings-despite-increased-fuel-costs

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია - კომისიამ ონლაინ მაღაზია NEPTUNE BLANKET დააჯარიმა შეცდომაში შემყვანი განცხადებების გამო

https://www.accc.gov.au/media-release/online-retailer-neptune-blanket-pays-penalties-for-allegedly-misleading-statements-about-consumer-guarantees

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება - მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო სამსახურმა, საქმიანობის შესწავლის შედეგად, დაადგინა მომხმარებელთა მიმართ არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის აკრძალვის შესახებ კანონის დარღვევა

https://vvtat.lrv.lt/lt/naujienos-ir-pranesimai-ziniasklaidai-377/vvtat-skyre-bauda-26-tukst-euru-uab-checkcarvin-uz-nesazininga-komercine-veikla-k6s/

საფრანგეთის კონკურენციის უწყება - საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ პოდკასტ CARTELS&CIE-ის ინგლისურენოვანი ვერსია წარადგინა

https://www.autoritedelaconcurrence.fr/en/podcast

ევროკომისია - ევროკომისიამ GOOGLE-ს დააკისრა 890 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა ციფრული ბაზრების აქტის დარღვევისთვის

https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_26_1670

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია - სამართლიანი პრაქტიკა რძის მრეწველობაში

https://uokik.gov.pl/en/fair-practices-in-the-dairy-industry

ესპანეთის ეროვნული ბაზრებისა და კონკურენციის კომისია - ესპანეთში ელექტრონული კომისიის მოცულობამ 2025 წელს 114.8 მილიარდ ევროს გადააჭარბა

https://www.cnmc.es/prensa/comercio-electronico-20260703

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია - ACCC-მ ფედერალურ სასამართლოში აღძრა საქმე Amazon Commercial Services Pty Ltd-ის (Amazon AU) წინააღმდეგ

https://gcca.gov.ge/uploads_script/publications/tmp/phpJb6QJp.pdf

იტალიის კონკურენციის უწყება - იტალიის კონკურენციის უწყებამ ელექტროველოსიპედით და ელექტროსკუტერებით მომსახურების ოპერატორებს ჯამში 2.7 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა

https://en.agcm.it/en/media/press-releases/2026/8/PS13028-PS13029-PS13030

ჩეხეთის კონკურენციის დაცვის ოფისი - კარტელური შეთანხმებისთვის ჯარიმა 280 მილიონ ჩეხურ კრონზე მეტი

https://uohs.gov.cz/cs/informacni-centrum/tiskove-zpravy/hospodarska-soutez/4642-spolecnostem-o2-czech-republic-a-sherlog-technology-byly-za-kartel-ulozeny-pokuty-pres-280-milionu-korun.html

ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის სახელმწიფო უწყება - ლიეტუვის მომხმარებელთა დაცვის უწყებამ ჯარიმები დააკისრა ელექტრონული კომერციის ოპერატორებს

https://vvtat.lrv.lt/lt/naujienos-ir-pranesimai-ziniasklaidai-377/vvtat-skyre-baudas-elektroniniu-parduotuviu-valdytojams-5dC/

15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge
GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102. ქ თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154. ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”